№ 210
ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 210
ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართველ ქალთა
## სამკერვალო
18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.
იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.
**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

სასწავლებელი და პანსიონი
## ა. ტერ-აკოფოვისა
შესდგება ერთის მოსამზადებელ და ოთხის გიმნაზიურ და რეალურ კლასებისაგან,
რომელნიც პროგრამით მთავრობის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების იმავე კლასების პროგრამებს უდრის.
ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებისა, რეალურ სასწავლებლებისა, კადეტის კორპუსებისა, იუნკრის სასწავლებლებისა და სხ. სასწავლებლებში.
**სკოლაში ასწავლიან აგრეთვე მუსიკას, გალობას და ხატვას;**
ქართველ ბავშვებს ქართულ ენას განსაკუთრებითი მასწავლებელი ასწავლის უსასყიდლოდ.
ადრესი: განოვის ქუჩა, № 11, (ვაჟთა მესამე გიმნაზიის მახლობლად).
(4—191—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
**დილით:**
**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.
**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.
**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.
**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.
**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.
**საღამოთი:**
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
**საღამოობით:**
**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.
**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ბუხჰალტერი,
რუსეთში კომერციულ განათლებამიღებული,
პრაქტიკულად მცოდნე: მეურნეობის, ბანკების, აქციონერთა საზოგადოების, ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქისთვით-მართველობათა, სახელოსნოებისა და სხვა დაწეს. ბუგალტერიისა—ყოველნაირ არსებულ სისტემაზე, ეძებს ადგილს. მიმართეთ ვ. ყ—ვს, ჭავჭავაძის ქუჩა, № 24, საკუთარს სახლში, საღამოს 6 საათიდგან.
(3—194—2)

## ახალი ამბავი

*** მისმა იმერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, 26 სექტემბერს, დილის 6 საათზედ კვლავ ინახულა ტფილისის კადეტთა კორპუსი. შემდეგ კორპუსიდგან მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში მიბრძანდა, სადაც რამდენიმე გაკვეთილი მოისმინა. სასწავლებლიდგან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სასახლეში მიბრძანდა. აქ მათმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ყავა მიირთვა და მერმე ავლაბარში მიბრძანდა გრენადერთა ტფილისის მე-15 რაზმის დასახედავად, რომლის შეფადაც იგი ითვლება. საღამოთი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა სახაზინო თეატრში ბრძანდებოდა.

გუშინ, 27 სექტემბერს, „ტფილისის კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში სამუსიკო დილა იყო გამართული, რომელზედაც მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის მოსწავლენი. დილას მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დაესწრო.

*** როგორც შევიტყეთ, მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი ოთხის თვის ევროპაში მოგზაურობის შემდეგ ხუთს მომავალს ოქტომბერს ჩამოვა ქ. ბაქოში, სადაც დაჰყოფს სამს დღეს და შემდეგ ასტაფიდგან პირდაპირ სპარსეთისაკენ გაემგზავრება.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო პარასკევს, 29 სექტემბრისათვის, გადადებულ იქმნა სამშაბათს, 3 ოქტომბრისათვის. საზოგადოება ამ კრებაზედ, სხვათა შორის, განიხილავს მთელს იმ მასალას, რომელიც შეგროვებულ იქმნა საზოგადოების საბჭოს მიერ მომავალ წლის

## ფელეტონი

### მოთხრობა

მ. გორკისა
(თარგმანი რუსულიდგან)
(შემდეგი *)

„სტუდენტი წავიდა; მალე მამაჩემი, რაღაც უსიამოვნებისა გამო, თავადმა დაითხოვა ადგილიდგან. ჩვენი ცხოვრება ისევ გამოიცვალა და ისევ მ—ში დავბრუნდით. მამაჩემმა თავისს უკანასკნელის შეძლებით სამრეცხველო დააარსა და თითონ სხვაგან წავიდა. საქმის სრულ გამგეთ დედაჩემი დასტოვა. ფუფუნებაში გაზიზებულმა დედამ ვერ შესძლო საქმის გაძღოლა და ხალხთან საქმის დაჭერა. უბრალო მოსამსახურეებსა და მრეცხავებს შორის დიდი განსხვავებაა; რასაც მოსამსახურე მოითმენს, იმას მრეცხავი არ გაპატიებს. ამიტომ, თუმცა საქმე კარგად უნდა წასულიყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა დედამ და მეც ბევრს მწუხარებას ვითმენდი დედისაგან, თითქო მე ვიყავი მიზეზი იმისი მრეცხავად გახდომისა. ყოველ დღიურმა სასჯელმა, შეურაცხებამ, სხვა-და-სხვა ნაკლულევანებამ და მრეცხავის შრომამ იქამდე მიმიყვანა, რომ, როცა დედაჩემმა გაჰყიდა სამრეცხველო, მითხრა, რომ ჩემთვის ბინა მომეძებნა. მომახალა თავში ჩემი ქაღალდები და მიბრძანა ადგილის საძებრად წავსულიყავი. თავისუფალი გავხდი. 13 წლის ვიყავ და თავისუფალ ცხოვრებას ვიწყებდი. შემთხვევით ისეთ ადგილზედ დავდექი, რომელიც ძალიან კარგი გამოდგა. მეც დავმშვიდდი და ისე შევეჩვიე ჩემის ბატონების ბავშვებს, რომ ვეღარც-კი ვსცილდებოდი; ისინი დიდ სიამოვნებას მაგრძნობინებდნენ თავისის ტიტინით; თითქმის დედაზედ უფრო შევუყვარდი იმათ (უფროსი იყო ოთხის წლისა და უმცროსი ექვსის თვისა). მათი მშობლები იშვიათად იყვნენ შინ, რადგანაც მ—ის დიდის თეატრის არტისტები იყვნენ და ამასთანავე მამა ცეკვისა და მუსიკის გაკვეთილებსაც აძლევდა. ახალგაზდა ცოლქმარი დიდ ყურადღებას მაქცევდნენ და ამითი ბედნიერი ვიყავი; როგორც შვილი, ისე ვუყვარდი, არაფრით არ მავიწროებდნენ და სცდილობდნენ შევჩვეოდი შრომას, კერვასა, ქარგვასა და სხვა ხელ-საქმეებს. მეც ჩემის მხრით ვცდილობდი მესწავლა რამე; ვშველოდი ჩემის ბატონის ძმებსა და დებს გაკვეთილების მომზადებაში და სიამოვნებით ვატარებდი დროს. მაგრამ ჩემს ბედნიერებას მალე მოეღო ბოლო: უნდა დავშორებოდი მათ; მიზეზი ის იყო, რომ 16 წელიწადი შემისრულდა და თავისუფალ ცხოვრებისათვის საჭირო საბუთის ქაღალდი-კი არა მქონდა-რა. ისიც არ ვიცოდი, სად იყვნენ ჩემი მშობლები. რა უნდა მექნა? სად უნდა წავსულიყავი? ჩემმა ბატონმა მომცა ფული საქმის მოსაწყობად, მაგრამ ვისაც მივმართე შველისათვის, ვერავინ ვერაფერი მიშველა.

მაგრამ ხომ უნდა მეცხოვრა სადმე? ღამის გასათევი ადგილი ხომ უნდა მეშოვნა სადმე? ჩემს ბატონს სასტიკად აღუკრძალეს ჩემი დაჭერა სახლში და უთხრეს, რომ იქნება თავისის მშობლების უნებურად არის წამოსული და ჩვენ ვალდებულნი ვართ, თუ საბუთის ქაღალდს არ წარმოადგენს, თავისს მშობლებთან გავგზავნოთო.

უნდა წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობის საშინელება! საშუალება არა მქონდა რა; რა ჯამაგირსაც ვიღებდი, ტანისამოსსა და საცვლებში მეხარჯებოდა; არც სახლი, არც ბინა და არც ცალკე ცხოვრების მოწმობა! რა მექნა? სად წავსულიყავ? დღისით კიდევ როგორც იქნება იოლად წავიდოდი, მაგრამ ღამე? რამდენი ღამე გავატარე უძილოდ! ერთის ქუჩიდგან მეორე ქუჩაზედ გადავდიოდი და თან ღმერთს ვეხვეწებოდი მალე გათენებულიყო. რამდენი ტანჯვა და შიმშილი ავიტანე ამ დროს! ასე ვიტანჯებოდი, მაგრამ მაინც ვერ გავბედე შემწეობა მეთხოვნა მდიდარის მამიდისათვის, რომელმაც უწინაც უარი მითხრა გაჭირვების დროს. დღვიფიცე არასოდეს არ მიმემართა მისთვის შემწეობის სათხოვნელად, თუნდ შიმშილით მოვმკვდარიყავი. არ აგიწერთ ჩემს მამიდას; გეტყვით მხოლოდ, რომ თავისს დღეში კეთილი საქმე არ ჩაუდენია; იმ ორმა—სამმა თვემ, რომელიც მასთან გავატარე უწინ, დამიმტკიცა, რომ ბევრად უმჯობესია გარეშე ხალხთან ცხოვრება, ვიდრე მდიდარ მამიდასთან: უნდა ემსახურო როგორც უბრალო მუშა მეძროხედ, მზარეულად და მოახლედ და ერთ კაპეიკს კი ვერ მიიღებ იმისგან ჯილდოდ. მყავდა მ—ში ერთი კარგი კეთილი ნაცნობი ოჯახი; ამ ოჯახს ვუყვარდი და მზად იყო უკანასკნელი შეძლება გაეყო ჩემთვის, მაგრამ არ მინდოდა ამ ოჯახში შევმძვრალიყავი: ძალიან კეთილი და ამასთან მეტად ღარიბი ოჯახი იყო; ექვსი შვილი ჰყავდათ, რომელთაგან ორი გასათხოვარი ჩემი ხნის ქალები იყვნენ. ვერც იმას ვამხელდი, რომ ისეთი მდიდარი ნათესავე-

*) იხ. „კვალი“ № 209.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო გამოფენის პროგრამის შესამუშავებლად. პროგრამის შესამუშავებლადვე კვირას, 8 ოქტომბერს, 12 საათზედ, საზოგადოების სადგომში კრება ექმნებათ იმ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, რომელთაც თანხმობა განაცხადეს პროგრამის შემუშავების საქმეში მონაწილეობის მიღებისა.

⁂ ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და კომისიისა, რომელზედაც განიხილვენ ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა ბ-ნთ ალიბეგოვისა და ყორღანოვის განცხადებას ამ გზის ბელგიის უ'ახელო საზოგადოებაზედ გადაცემის შესახებ.

⁂ როგორც ქ. ბათუმიდგან გვატყობინებენ, კვირას, პირველ ოქტომბერს, ქალაქის ბაღში (ბულვარზედ) გაიხსნება გამოფენა ბაღოსნობის ნაწარმოებისა. ამ გამოფენაში დიდს მონაწილეობას იღებენ ჩაის ბუჩქის გამშენებლები და ბევრი სხვა ცნობილი მებაღეები. გამოფენის დროს ნაჩვენები იქნება ჩინელების მიერ ჩაის დამზადება და ქაღალდის გაკეთება.

⁂ სამღვდელოთა და მათის ოჯახობისათვის განზრახულის ახალ საპენსიო პროექტით სახელმწიფო ხაზინას ყოველ წლივ **324,898** მან. და **22** კაპ. გაღება დასჭირდება. აქედგან ეხლაც ყოველ წლივ იძლევა ხაზინა **68,456** მან. მაშასადამე, ამას იქ'თ, **256,442** მან. და **22** კაპ. მეტი უნდა გაიღოს ხოლმე, თუ რომ პროექტი დამტკიცდა. დროებით ფულით შემწეობის აღმოსაჩენად ხაზინას ყოველ წლივ 65 ათასი მანეთი დასჭირდება.

⁂ საერო განათლების მინისტრს ხელ-ახლად მოუხდენია განკარგულება, რომ უნივერსიტეტების ყურის მგდებლებს ნება არა აქვთ სხვა უნივერსიტეტებში იქმნენ ხოლმე გამოცდილნიო.

⁂ რადგანაც რკინის გზით ფოსტის გადატანის შესახებ არსებული წესები 1873 წლიდგან აღარ გადასინჯულა და დღეს მრავალი ნაკლი და უხერხულობა ეტყობა და ხშირად ზოგიერთი წესი კიდევაც აბრკოლებს კორრესპონდეციების ფოსტით გზავნის საქმესა, ამის გამო განზრახვა აქვთ აღნიშნული წესები ხელ-ახლად იქმნენ გადასინჯულნი და დროის მოთხოვნილებათა მიხედვით შეცვლილნი.

⁂ ორშაბათს, 25 სექტემბერს, ქალაქის საბჭომ კრებაზედ, სხვათა შორის, დაადგინა: მიეცეს 1901 წელს ტფილისის შრომის მოყვარეობის სახლს 300 მანეთამდე; განთავისუფლებულ იქმნას მართლ მადიდებელთა სასულიერო უწყების მამული მე-8 ნაწილში დამფასებელ გარდასახადისაგან და სხვანი.

⁂ რადგანაც ფოთის ნავთსადგურის გადიდებასა და გადაკეთებას შეუდგნენ, ქალაქის თვით-მმართველობამ გარდასწყვიტა გააუმჯობესოს ნავთ-სადგურისაკენ მიმავალი გზები. სულ ამ გზებისა და ქალაქის ქუჩების გაკეთება და მდ. რიონზე არსებულ ხიდების რემონტი დაჯდება **251,510** მანათი და **76** კაპ., გარდა ამისა, ყოველ-წლივ დასჭირდება ამ გზებს და ქუჩებს — **21,304** მან. ყველა ეს ხარჯი ქალაქს ჰსურს დაჰფაროს იმ ფულიდგან, რომელიც ნავთ-სადგურიდგან გატანილ საქონელზედ შემოდის არსებულ გადასახადიდგან, რის შესახებაც უკვე ქალაქმა შუამდგომლობა აღძრა.

⁂ სატახტო ქალაქის გაზ. „Сынъ Отечества“-ს გამოცემის უფლება, რომელიც ამ წელს იქმნა შეყენებული, ერთს პეტერბურგელს ფულის პატრონს შეუძენია. ახალი გამომცემელი ამ ჟამად თანამშრომლებს თურმე იწვევს და გაზეთი **1901** წ. იანვრიდგან ხელ-ახლად გამოვა.

⁂ კავკასიის რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან იქმნება შეცვლილი.

⁂ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სარძეო-სამეურნეო წარმოებისათვის მელიორატიული კრედიტი მიეცეთ ხოლმე. კრედიტი მიეცემათ აგრეთვე სახელმწიფო ბანკიდგანა და იმის განყოფილებებიდგან სარძეო-სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესებისა თანახმად, 1901 წ. იმპერატორის ალექსანდრე III სახელობაზედ არსებული პრემია ათას-ათასი მანეთი მიეცემათ იმ მებაღეებსა და მეღვინეებს, რომლებიც რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდგან წარადგენენ საუკეთესო ღვინოებს შემდეგის ყურძნის ჯიშისას: შასლას (Chasselas), ალექსანდრიულს მუსკატს (Muscat d'Alexandrie), ღოდრელიაბის (Gros Colman), კატალონს, ალბურლანს, ალმერიისას (Uoa de embarque d'Almeria) სქელ-კანას და სხ. კონკურსზედ მონაწილეობის მიღების სურვილი უნდა მიწადმოქმედების დეპარტამენტს ეცნობოს არა უგვიანეს 1 ლ ნოემბრისა. კონკურსის წესების მიღება მსურველთ მიწად-მოქმედების დეპარტამენტიდგან შეუძლიანთ.

⁂ რუსეთის გამოჩენილს მწერალს გრაფს ლ. ნ. ტოლსტოის ახალი რომანის წერა დაუწყვია. რომანს სახელად „მამა სერგი“ ერქმევა. ავტორს განზრახვა თურმე აქ'ს ბერის მ. სერგის სულიერი სარწმუნოებრივი ბრძოლა დახატოს, რომელიც ხალხს წმიდანად მიაჩნია.

⁂ ცნობილი რუსეთის მწერალი ანტ. ჩეხოვი ახალის მოთხრობის „კუტის“ წერას შესდგომია.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“-ს შეუტყვია, მალე თურმე ტფილისის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა საგანგებო კრება იქმნება მოწვეული, რომელმაც რამდენიმე დიდად საყურადღებო საგანი უნდა განიხილოს: საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს 5% ობლიგაციები გამოსცეს, იშუამდგომლოს, რომ სესხი შემდეგს ქალაქებს: გორს, ახალციხეს, თელავს, სიღნაღსა და კოჯორსაც აძლიოს და სხ.

⁂ „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის“ სიტყვით ამ წლის პირველ ნახევარში კავკასიიდგან 2,875,045 ფუთი ქვა-ნახშირი გაუტანიათ.

⁂ ორშაბათს, 25 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ზაქარია ანტონის ძე ჭელიძის საქმე, რომელსაც კაცის მოკვლა ედებოდა ბრალად. პალატამ დამნაშავედ იცნო ჭელიძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მას გარდაწყვეტილი აქვს ყოველისავე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ცნობები მოსთხოვა ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელსა და ყველა ნაწილის ტეხნიკოსებს იმის შესახებ, თუ თითოეულს მათგანს როდის და ქალაქის რა სამუშაოები ჩაუბარებია გამგეობისაგან შესასრულებლად: მაგ., ქუჩების მოკირწყვლის, ბაღების შემოღობისა და სხვათა შესახებ, როდის დაუწყიათ მუშაობა, რამდენი აქვთ სამუშაო და როდისთვის შეუძლიანთ დამთავრება. ამ ცნობების მოთხოვნა იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ქალაქის ზოგიერთ ადგილში მეტად დიახანს გრძელდება ხოლმე მუშაობა, ასე რომ ერთის კვირის საკეთებელი ორს კვირასა და თვეს გასტანს ხოლმე; მაგალითად, პუშკინის ბაღის შეკეთებისა, ალექსანდრეს ბაღის რკინის მოაჯირის გასწორებისა და სხვათა შეკეთების საქმე მეტად დიდხანს სწარმოებს.

⁂ როგორც გაზეთი „Новости“ იუწყება, უმართებულესის სენატის სისხლის განყოფილების საკასსაციო დეპარტამენტი 1-ლ ნოემბერს თურმე განიხილავს ბაქოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელისა და ბოლოს ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად ნამყოფის ლ. ს. სტალინსკისა და მისის მდივნის ანისიმოვის საქმეს, რომელთაც 354 და 362 მუხ. ჰბრალდებათ დანაშაული. ბრალმდებლად ობერ-პროკურორის ამხანაგი მიდლოვსკი იქმნება.

⁂ სტან. ნიკოლაევკა (სუნჯის განყოფილება). თოთხმეტს ენკენისთვეს აქ მობრძანდა თერგის ოლქის უფროსი ბ-ნი ტოლსტოი. აქ მცხოვრებმა ყაზახებმა მოახსენეს უფროსს, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი მეტად გვაწუხებენ ქურდობითაო. უფროსმა უბრძანა: „სტყუით, როგორც გაძღიერებულს ცეცხლში, თუ წყლით არ გაახელა კაცმა, შესვლა ძნელია, ისე სოფელში შესვლა საქურდლად ძნელია უცხო კაცისათვის, თუ თქვენგანივე გზის მაჩვენებლად არ ეყოლებაო; მეტადრე მაშინ, როცა თქვენს სოფელს ბერდანის თოფებით შეიარაღებული ყაზახები სოფელს გარს უვლიან ღამე და ჰყარაულობენო. თუ მინდორში დაგეკარგოთ რამე, მაშინ მე ვიცი, ოღონდ კვალი მიიტანეთ სადმე, და სოფელში ეზოდგან რისამე დაკარგვის მიზეზი-კი თქვენვე ხართ, თავად ეცადეთ მოსპოთ თქვენ შორის ქურდობაო, უბრძანა უფროსმა. მაცნობეთ აგრეთვე თუ ვინმე გყავთ სოფელში ქურდობაში შენიშნული და იცით, რომ მავნებელი პირია, წარმომიდგინეთ და ღირსეულად დავსჯითო!.—

⁂ ორშაბათს, 25 სექტემბერს, რკინის გზის მოხელემ ბ-ნმა კ. ს. ცხომელიძემ განაცხადა პოლიციის მე-9 ნაწილში, რომ 21 სექტემბერს ჩემის სახლიდგან აზ. კონსტანტინე გერასიმენკომ მომპარა სხვა და სხვა ნივთები სულ 38 მანეთისა და ერთი დავთრის წიგნიო. გერასიმენკო უკვე შეიპყრეს პოლიციის მეორე ნაწილში.

⁂ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ვიღაც ბოროტ განმზრახველთ 10 სექტემბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის კონდუქტორები ღოღობერიძე და კახიანი გაქურდეს. ეხლა, როგორც პოლიციის გამოძიებას აღმოუჩენია, ქურდი აზნაური გრიგოლ ჩიქოვანი ყოფილა, რომელიც ელისაბედის ქუჩაზედ, მღებრიშვილის სახლში ცხოვრობდა და ქურდობის შემდეგ სადღაც დამალულა. დაკარგულ ნივთებთაგან უნახავთ ერთი ვერცხლით მოჭედილი ხმალი, რომელიც უკვე დაუბრუნეს პატრონს კახიანს.

## წერილი საჩინოდგან.

საჩინო საზოგადო სახელია იმერეთის ოც-და-ოთხი სოფლისა, რომლებიც ქ. ქუთაისიდგან 30—35 ვერსის მანძილზედ მდებარეობენ, სამხრეთის მხრით, მდინ. რიონის მარცხენა ნაპირზედ. საჩინო თავისს მდებარეობით, კარგის ნიადაგითა და უხვის მოსავლით ერთ საუკეთესო მხარედ ითვლება ქვემო იმერეთში და ვრცელი ადგილიც უჭირავს, რომელიც ხალხით ხშირად არის დასახლებული. ჩრდილოეთის მხრით, მდინ. რიონის პირად, სიგრძეზედ დაჰყვება მშვენიერი გაშლილი ჭალა, ნოყიერი საყანე ადგილებით; ჭალას თავზედ დაჰყურებს ცოტათი მაღლობი და ვაკე სოფლებიც, შემდეგ გაშენებულია მთის სოფლები და ამ სოფლებს სამხრეთით უძევს მეტად კარგი სააგარაკო და საბალახო მთები, რომლებიც თავისს ხე-ტყით შესანიშნავნი არიან. ხალხის უმთავრესს ხელობას შეადგენს მიწის მუშაობა და მევენახეობა. საჩინოში მოსავალი ქვემო იმერეთის სხვა სოფ-

---

ბი მყვანან და პურის ნატეხი და ღამის გასათევი ბინა არა მაქვს-მეთქი. არ ვიყავი ამპარტავანი და თავმოყვარე, მაგრამ გული მტკიოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ არის ისეთი ხალხი, რომელთაც არც სული აქვს და არც გული და ეს ხალხი ჩემი მახლობელი ნათესავები არიან. ბოლოს ბედმა შემიბრალა და ადგილი გამომიჩნდა. წაველი დაწვრილებითის ამბის შესატყობად და გავიგე, რომ იგი არ იყო პატიოსან ქალების სამყოფელი. ერთის შეხედვითვე შევიტყე და მივხვდი, რაც იყო ეს ადგილი, და მით დავიხსენი ჩემი თავი მოსალოდნელის ხვედრისაგან. ბედმა სასტიკად მიხუმრა, მაგრამ მე მაინც დახსნილი ვიყავ. ბოლოს დაღალულ-დატანჯული მივედი ჩემის ნაცნობის კეთილს ოჯახში და შევიტყე, ჩემდა სასიხარულოდ, რომ ჩემთვის მოწმობა ეშოვნათ. ვინ მომიხერხა ეს, არ ვიცი, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე მისთვის უნდა ვილოცო, რადგანაც იმ დღეს გადავწყვიტე პირველად თავის მოკვლა. ისევ ღვთის განგებამ დამიხსნა.

„მაგრამ განვაგრძობ: მოწმობა ხელთა მაქვს, მაგრამ ტანისამოსი ცუდი მაცვია! რიგიანის ადგილის სათხოვნელად ვერ გამოვჩნდები, რადგანაც კარგ ადგილებზედ ჩაცმულობისა იღებენ ხოლმე და მეც მზარეულად დავდექი ერთ კოლოფების საკეთებელ სახელოსნოში. ოჯახსა და სახელოსნოს შეადგენდნენ ოც-და თხუთმეტი კაცი, — სამუშაო ბევრი მქონდა! სამის თვის შემდეგ ავად გავხდი; ორი თვე საავადმყოფოში ვიწექი, მერე გამოვბრუნდი, ისევ დავდექი ახალ ადგილზედ და წაველი მ—დგან ოცის ვერსის მანძილზედ. ოჯახი პატარა იყო და ისე ვგრძნობდი ჩემს თავს, როგორც საკუთარს ოჯახში. ჩემის ჯანმრთელობის საქმეც კარგად წავიდა; ჩემი ტანჯვაც მოისპო. სიცოცხლე მწყუროდა: ოცნებას მივყავდი სადღაც შორს, შორს; ველოდი და ვეძებდი რაღაცას... ალერსს, სიყვარულს, — აი რას ვეძებდი. მუდამ შრომა და მუშაობა ვერ დააკმაყოფილებს ადამიანს. მინდოდა დასვენება, ვინმესთან ლაპარაკი ჩემის ცხოვრების შესახებ და ჩემის აზრების გაზიარება მწყუროდა ვისმესთვის. მოაწია ზაფხულმა. ჩვენ მეზობელს აკადემიიდგან ვაჟი მოუვიდა. გავიცანით ერთმანერთი მაშინ, როდესაც ჭიდგან წყლის ამოღება მიშველა. ამ დღიდგან სცდილობდა შეემსუბუქებინა ჩემთვის მოსამსახურის მდგომარეობა და ყოველ მძიმე საქმეს ის აკეთებდა ჩემ მაგიერ. მალე დავმეგობრდით; ყოველ თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით ხან სეირნობით, ხან წიგნების კითხვასა და ხან ოცნებაში. ხან-და-ხან მთელის საათობით ვისხდით ხოლმე ხმის ამოუღებლად; ორივენი ცალ-ცალკე ვეძლეოდით ოცნებას. სიყვარულის შესახებ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, მაგრამ ერთმანეთი-კი გვიყვარდა. ამას ჩვენი თვალები ამბობდა... კიდევ ერთი მოულოდნელი შემთხვევა: ჩემი ქალბატონი გარდაიცვალა. მე უნდა წავსულიყავი ისევ მ—ში. იქ ადგილი მზად იყო ჩემთვის. სტუდენტმა როგორც შეიტყო ეს, მაშინვე მოელაპარაკა მშობლებს და გამოუცხადა, რომ ჩემი შერთვა უნდოდა, მაგრამ მშობლებმა მტკიცე უარი განუცხადეს, მით უფრო, რომ კიდევ ერთი წელიწადი უკლდა სწავლის დასრულებას. ჩემი გული ჰგრძნობდა, რომ ეს უბრალოდ არ ჩაივლიდა. გადავსწყვიტე მასთან მოლაპარაკება და წაველი ბაღში, სადაც ის ჰმეცადინეობდა და ისვენებდა ხოლმე. ერთის წუთით გვიან რომ მივსულიყავი, ცოცხალს ვეღარ მივუსწრებდი: ჩემმა მისვლამ გააგდებინა მას ხელიდგან რევოლვერი, რომელიც მისდა გასაქრობად მზად იყო. რა მომდიოდა, არ ვიცი, მაგრამ, როცა გონს მოვედი, შემოვიკრიბე ჩემი ძალ-ღონე და ხელი ავაღებინე მას თავის წადილისაგან. როგორც იქმნა დავაჯერე, ფიცი ჩამოვართვი, რომ თავს არ მოიკლავდა. ამის შემდეგ დავაპირე მ—ში წასვლა. მას აღუკრძალეს მშობლებმა ჩემი გაცილება, მაგრამ განა შესაძლებელი იყო ეს? როგორ შეგვეძლო ერთმანეთის დაშორება ისე, რომ უკანასკნელად არ გამოვთხოვებოდით ერთმანეთს და არ გვეთქვა „მშვიდობითო“... ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის იპოვის გზას! მშობლებმა გაჰგზავნეს ის რაღაცაების სასყიდლად მ—ში; ის ოჯახი, სადაც ის უნდა ვაჩერებულიყო, ჩემი ნაცნობიც იყო. ეს იყო ის ოჯახი, რომელშიაც მე ქალი მოვნათლე. მოულოდნელმა შეხვედრამ კინაღამ ორივე წუთი სოფელს გამოგვათხოვა. ძლივს დაგვაშორეს ერთმანეთს. ვგრძნობდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და ის კი არ შეგვეძლო, რომ ერთმანეთს ვკუთვნებოდით, ეს იმიტომ, რომ მე მოსამსახურე ვიყავი! განა მე მოსამსახურედ ვიყავ დაბადებული? ვინ არის ყოვლისავე ამის დამნაშავე? ოხ, მხოლოთ ღმერთმა უწყის როგორ იტანჯებოდა მაშინ ჩემი გული! არ მინდოდა სხვისთვის დამენახვებინა ჩემი სულმოკლეობა სტუდენტის სიბრალულით. ვცდილობდი რაც შემეძლო

დებთან შედარებით ძრიელ კარგი იცის, ასე რომ ძვირად უთვილა ისეთი წლები, რომ საჩინოში საკმაო საზრდო და მეტიც არ მოსულიყოს. ამისათვის არის ნათქვამი საჩინოზედ: მთელი ქვემო იმერეთი რომ დაამშეს, საჩინომ უნდა არჩინოსო. მაგრამ ამ ბუნებით ასრე შემკობილს მხარეს ამდენ სიკეთესთან ერთად ნაკლულევანებაც ბევრი აქვს, რომლის გამოც იგი დროს შესაფერისად ვერ არის დაწინაურებული და განათლებით ქვემო იმერეთის სოფლებზედ ბევრად უკან ჩამორჩენილია.

როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ამ მხარეს საჩინო ძველად იმერეთის მეფეებისაგან დაჭრქმევია, რადგანაც ქვემო იმერეთში იმ დროს მეტად გამაჩენილი და საყურადღებო სოფლები ყოფილა, მაგრამ, თუ სიმართლით ვილაპარაკებთ და პირფერობას არ ვიხმართ, ამ ჟამად ჩვენი საჩინო სრულებით უჩინოა და მისი სოფლები მივარდნილ, მივიწყებულ სოფლებათ ითვლება, რომლის მიზეზებიც, სხვათა შორის, შემდეგია: როგორც ზემოდა ვსთქვით, საჩინო დაშორებულია ქ. ქუთაისსზედ და დაშორებულია იმით უფრო, რომ შუაზედ მდის. რიონი ჩაუდის, რომელზედაც ხიდი არ არის გადებული. მართალია, ზოგიერთ ადგილას ბორანი და დატივებული ნავებია გამართული, მაგრამ ესენიც ხანდისხან მუშაობს მხოლოდ და ხშირად იშლება, რის გამოც საშიში ხდება და ხშირად ხალხსაც იმსხვერპლებს ხოლმე. ამის გამო ხალხი ისე დაშინებულია, რომ როდესაც ქუთაისში მიდიან ორი-სამი დღით, შინაურებს ისე ეთხოვებიან, თითქოს სახლში მშვიდობით დაბრუნებას აღარ ელოდნენ და სხ. ამ რიგად მდინ. რიონი დიდი ბორკილია საჩინოს მკვიდრთათვის და ტყვესავით დამწყვდეული ჰყავს იგი ერთს მივარდნილ კუთხეში, რადგანაც ქალაქ ქუთაისთან ადარავითარი კავშირი არა აქვთ. როგორც ხიდი არა გვაქვს, ისე გზებიც მეტად უვარგისი და გაფუჭებული გვაქვს: გზა-ტკეცილი საჩინოში ჯერ მოგონებული არცკია და აბა ეტლით მიმოსვლა საიდგან იქნება მოხერხებული. მართალია, სამტრედიიდგან სოფელ ვანამდის დადის ერთი ეტლი, მაგრამ გზების უვარგისობისა გამო და რიონის ადიდების დროს ხშირად ვეღარა ასრულობს გვატაროს და, თუ შევაცდინეთ და წაგვიყვანა, სადაც დიდი ტალახია, იქ გარდმოგვსხამს ხოლმე და ფეხით გვატარებს. ვაჭრობა და ალებ მიცემობა უველა ამ მიზეზისა გამო მეტად დაძაბუნებულია და ჩვენს ნაშრომს, ნაწარმოებს სრულებით ფასი და გასავალი ეკარგება. სწავლა-განათლების საქმეც საჩინოში ძლიერ მოკლე ნაბიჯით მიდის წინ, ასე რომ ამდენს სოფლებში მარტო ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელია, ჯერ კიდევ სულ შეუწყობელი, ერთი სამინისტრო სკოლაა და სამრევლო სკოლაც სულ რამდენიმეა. წიგნთ-საცავ სამკითხველოები არ მოიპოვება და არც თუ ფიქრობს ვინმე ამაზედ. ჟურნალ-გაზეთებსაც სრულიად მოკვეთილი ვართ, რადგანაც მუდმივი მიმოსვლა ფოსტა-ტელეგრაფთან არაგვაქვს და ერთი თვის წინედ მომხდარი შესანიშნავი ამბავი ქალაქიდგან საჩინოში მხოლოდ ერთ თვეზე მოდის. მაგრამ ყველაზედ უდიდეს გაჭირვებას კი საჩინოსთვის შეადგენს ის, რომ საკუთარი მკურნალი არა ჰყავს და არც მოხერხდა დაქირავება, რადგანაც ხიდი და გზა ხელს არ გვიწყობს ქალაქიდგან მოვიწვიოთ მკურნალი ავადმყოფობის დროს, ამის გამო ბევრი სრულიად უბრალო ავადმყოფი უდროვოდ ესალმება წუთის სოფელს და სხვა. — ამდენი დაქვეითების შემდეგ ნუ თუ ბედნიერება და ნამდვილი მის წრებული დახმარება არ იქნებოდა, რომ საჩინოში ერთი რკინის გზის შტო გამოვიდოდეს, ან რიონზედ ხიდს ვეღირსებოდეთ? მაგრამ ყველა ამას გულშემატკივარი. და მოხერხებული კაცი უნდა, რომ მთავრობასთან შუამდგომლობა გასწიონ და ასეთი კაცი-კი, ჯერ-ჯერობით მაინც, არსაიდგან არ გამოგვიჩნდა. იმედია, თუ დღემდის არ გვეღირსა, ამას იქით მაინც თავს გამოიდებს ვინმე და საჩინოელებს დაუვიწყარსა და საშვილი-შვილოდ მოსაგონარს სამსახურს გაუწევს.

სტ. ისრითელი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ამ ბოლოს დროს არა ერთხელ სწერდნენ, რომ ჩინეთის ფლოტს რაღაც არა საკეთილო აქვს განზრახულიო. ასეთის ხმების გამო, მოკავშირეთა გემებმა მეტი ყურადღება მიაქციეს ჩინეთის ფლოტს. სხვათა შორის რამდენისამე დღის წინად გაჰგზავნეს ჩინეთის ფლოტის მოსაძებნად ერთი სამხედრო გემი „რიურიკი“. ხანგრძლივის ძებნის შემდეგ, „რიურიკს“ ჩინეთის ერთი დიდი ესკადრა ფორმოზის სრუტეში უნახავს. ეს ესკადრა შანჰაიდგან საიდუმლოდ გამოსულა და საიდუმლოდვე აპირებდა თურმე გაპარვას გაშლილ ზღვაში. მაგრამ „რიურიკი“ აღარ მოჰშორებია ესკადრას და შორი ახლოდგან თვალს adevnebs თურმე. ჩინელებს რამდენჯერმე განუზრახავთ ამ გემის განადგურება, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოუხერხებიათ, რადგანაც „რიურიკი“ მსწრაფლ-მოსიარულე გემია და ყოველთვის უსხლტება მოწინააღმდეგის გემებს. „რიურიკი“ ისე გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ჩინეთის ესკადრას, რომ იგი საიდუმლოდ გაპარვას ვეღარ ახერხებს თურმე. როგორც ამბობენ, მოკავშირეთა ფლოტი ამ ცოტა ხანში მივა ფორმოზის სრუტეში, და ამ რიგად, ჩინეთის ესკადრა იძულებული იქმნება ან დაემორჩილოს ევროპიელებს, ან ომი დაუწყოს.

— დეპეშებმა უკვე გვაცნობეს მოკავშირე ჯარის მიერ პეიტანის აღების შესახებ. ჯარმა პეიტანი მაშინ აიღო, როდესაც მოლაპარაკების შესახებ მიწერ-მოწერას შეუდგნენ. ამის გამო, როგორც „Daily Express“-ა სწერს, ლიხუნ-ჩანგს უთქვამს, რომ მოკავშირენი გვატყუებენ და საქმით იმას არ აკეთებენ, რასაც სიტყვით გვეუბნებიან: სახელმწიფონი მალ მალ გვიცხადებენ, კეთილი გვსურს თქვენთვის, მშვიდობიანობის დამყარებას ვცდილობთ და ამავე დროს-კი ისეთ ქალაქებს ესხმიან, სადაც არც წინააღმდეგობაა და არც უცხო ქვეყნელთა ამოწყვეტის შესახებ ისმის რამეო. „ჩინეთი უთავოაო ამ ჟამად, უთქვამს შემდეგ ლიხუნ-ჩანგს, პროვინციებში დიდი მოძრაობაა. ერთად-ერთი ხსნა — რომელისამე ჩინელ დიპლომატის რეგენტად დანიშვნაა. მხოლოდ ასეთ დიპლომატს შეუძლიან წესიერების დამყარება და იმპერატორის ძლიერების აღდგენა. მოკავშირეთ დაუყოვნებლივ უნდა გაჰგზავნონ ტაი-ან-ფუში ჯარი იმპერატორის გასანთავისუფლებლად მრჩეველთაგან. ამის შემდეგ მოლაპარაკების დაწყებაც შეიძლება.“

— შანჰაიდგან „Lokal—Anreiger“-ს დეპეშით ატყობინებენ: „25 სექტემბერს ტაი-ან-ფუში იმპერატორის გამოცემულ ორსავე ედიქტს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, სახელდობრ ისა, რომ მოკავშირეთ თვალები აუხვიოს და გზაკვალი დაუბნიოს. პრინცის ტუანისა, ხან-იუს და სხვათა გადაყენება და დასჯა-უბრალო ფარსია მხოლოდ. დამნაშავეთა დასჯას ჩინელები სრულიადაც არა ჰფიქრობენ, რაც შეეხება მსხვერპლის შეწირვას კეტტელერის საფლავზედ, ესეც ეშმაკობაა და სხვა არაფერი“.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ომი დასრულდაო, აცხადებენ ინგლისელნი, ამავე დროს-კი ბურები უწინდელებრ უწყვეტავენ და უჟლეტავენ ჯარის-კაცებს რობერტს. მართალია დეპეშებს, ინგლისის ცენზურის წყალობით, აღარაფერი ამბავი აღარ მოაქვთ სამხრეთ აფრიკიდგან, მაგრამ ათასში ერთხელ კანტი კუნტად სიმართლე მაინც გამომჟღავნდება ხოლმე. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ მიმდინარე თვეში, მარტო ერთის კვირის განმავლობაში, ინგლისელებს 2000 კაცი დაუკარგავთ ბურებთან ბრძოლაში.

— „Allgem. Zeit.“-ი იუწყება, რომ ტრანსვაალის მთავრობამ წინდაწინვე დაიპირა თადარიგი და გაჰგზავნა სამხრეთ აფრიკიდგან საყურადღებო საბუთის ქაღალდები და ხაზინა, რაც-კი ომს გადარჩაო. სახელმწიფო ფული ეხლა ბურებს ნიდერლანდის ბანკში აქვთ თურმე შენახული.

— ერთ გაზეთს შეუტყვია, რომ ბურები გერმანიის ადგილებში-კი არა, მად გასკარის კუნძულზედ აპირობენ გადასახლებასაო. როგორც ვუწყით, ეს კუნძული საფრანგეთს ეკუთვნის. პარიჟში დელკასსეს უკვე აღუძრავს ამის შესახებ ლაპარაკი. მთავრობას აზრადა აქვს თურმე დაუთმოს ბურებს კუნძულის ერთი ნაწილი, სადაც მათ შეეძლებათ სრულიად დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსება.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

როგორც ერთი ამერიკული სავაჭრო-სამრეწველო ჟურნალი გადმოგვცემს, შეერთებულ შტატებიდგან ყველაზედ მეტი საქონელი ინგლისს გააქვს. სახელდობრ, ინგლისს წელიწადში 2,500,000 ფრანკის საქონელი გააქვს. შემდეგ გერმანიას—900,000 ფრანკისა, კანადას—480,000 ფრ., ჰოლანდიას—450,000 ფრ., საფრანგეთს—410,000 ფრ., ბელგიას—225,000 ფრან., მექსიკას—175,000 ფრ., იტალიას—160,000 ფრ. და ავსტრიას—130,000 ფრანკისა.

* * *

ამერიკელ მილიარდერს ვანდერბილდს ამას წინად მეფური საჩუქარი გაუგზავნია თავისს ქალის ჰერცოგინია მალბრუგისათვის. ქმარი ამ ქალისა ჰერცოგი მალბრუგი სამხრეთ აფრიკის ომში იღებდა მონაწილეობას და ამ დღეებში დაბრუნებულა იქიდგან. მამას ქალისთვის 1 მილიონ მანეთის ჩეკი გაუგზავნია, რათა ქალმა ქმრის დაბრუნების სახსოვრად ნადიმი გადაიხადოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მუკდენის დასაპყრობლად დანიშნული ჯარები 11 ბატალიონი 40 ზარბაზნითა და ორასი ყაზახით, და 400 კაცი დამცველი ჯარისა გენერალ-ლეიტენანტის სუბბოტიჩის უფროსობით ინკოუ ხაიჩენის საზღვარზედ შეგროვდნენ. 11 სექტემბერს ჩვენმა ჯარმა მოქმედება დაიწყო და დაიპყრო ძველი ნიუჩუანგი. 18 სექტემბერს ჩვენი ჯარები მუკდენში შევიდნენ, რომელთაც მუკდენიდგან გაქცეულ მხედრობის მცირე ნარჩენმა რაზმმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია. ეს გაქცეული ჯარი დამარცხებულ იქმნა სადგურ შახთან 14 სექტემბერს. ქალაქი გაძარცულია და გადამწვარი ჩინეთის ჯარისაგან. ცეცხლი, როგორც იყო, ჩააქრეს და წესიერება აღადგინეს. ნაწილი მცხოვრებლებისა უვნებლად დარჩა. ჩვენს ჯარს ხელში ჩაუვარდა ბევრი ახალი ზარბაზანი და დიდძალი საომარი სურსათი. ჯარი ჯანსაღადა და მამაცად არის.

**რეველი.** გემი „ზარნიცა“, რომელზედაც ხელმწიფე მემკვიდრე და საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოოზი იმყოფებიან, დანიაში წავიდა.

**ტიან-ძინი.** პაოტინფუში შეხიზნული უცხოელნი ქალაქიდგან წასვლაზედ უარს ამბობენ, რადგანაც ჩინეთის დამცველს ჯარს ვერ ენდობიან. 500 კაცისა და ორი ზარბაზნისაგან შემდგარი გერმანელთა რაზმი, რომელიც ცინხაისიენისაკენ იქმნა გაგზავნილი მიდამოების დასაზვერავად და პაოტინფუში წასასვლელ ექსპედიციისათვის საჭირო ბარგის ეტლებისა და ჯორების საშოვნელად, ოთხი დღის შემდეგ დაბრუნ-

---

იმის დამშვიდებას და თავს მომავალით ვიიმედებდი... ჩვენი განშორების დროც მალე დადგა; ის უნდა დაბრუნებულიყო და მე-კი უნდა დავრჩენილიყავ მ—ში. პირველ ხანს ხშირი მიწერ-მოწერა გვქონდა; ის სულ გიჟდებოდა და მე კი ჩემი უგრძნობო წერილებით ვაგრძნობინე, რომ ჩვენ ერთმანეთის შესაფერი არა ვართ და ამით უმეტეს ძნელია ჩვენთვის მშობლების დაუკითხავად შეერთება. ბოლოს მიწერ-მოწერა შესწყდა, მაგრამ ჩემ გულში დარჩა ჰია, რომელიც მუდამ საათსა მღრღნიდა. გაშმაგებით მიყვარდა და ამასთანავე საშინლად მძულდნენ ჩემის საყვარლის მშობლები თავისის სულელურ ცრუ-მორწმუნეობით, რომელნიც ჰღუპავს შვილებს და საზიზღარ გზაზედ აყენებს. კიდევ კარგი, რომ ჩვენი სიყვარული საზღვარს არ გადასცილდა და გახურებულ გულის თქმის დროს შევძელით შეცდომისაგან თავის დაკავება. ჩვენს გულში მხოლოდ კარგი სასიამოვნო მოგონება დარჩა...

„მაგრამ ძალიან ავცდი ჩემს მოთხრობას. ისევ ბინაზედ ვიყავ; კარგ ჯამაგირს ვიღებდი, ვიცვამდი, როგორც რიგი იყო, და ნელ-ნელა მთელი ოჯახობა ხელში ჩავიგდე. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ვცხოვრობდი დიდს სამზარეულოში, სადაც ბევრი ხალხი დადიოდა და ამიტომ დიდ ძალი თაყვანის-მცემელი მყავდა. ჯერ ისევ მორცხვი ვიყავი, მაგრამ ადამიანი ყველაფერს მალე შეეჩვევა; მეც მალე შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. ლამაზად და სუფთად ჩაცმული შავგვრემანი, როგორც ყარაჩის ქალი, მუდმივ მხიარული და მოცინარი, გონებას ვუბნევდი ჩემს თაყვანის-მცემლებს; დაცინვასა და უზრდელ სიტყვაზედ შესაფერ პასუხს ვაძლევდი; იმათს ლაზღანდარობას დავცინოდი ისე, რომ მეორედ აღარ გაებედნათ. ზოგ მათგანს ვუყვარდი, ზოგი პატივს მცემდა, ზოგი მიწვევდა, ჩემთან იცხოვრეო, და ზოგს კი ვძულდი გაბედულის და პირდაპირ მართალის ლაპარაკისათვის. ამავე დროს მეც მინდოდა ცხოვრება; შურს ვუძიებდი ყველასაგან ჩემის დაკარგულ სიყვარულისათვის, რომელიც ვერ დავივიწყე. როგორც წინად განმარტოვებით ცხოვრება მიყვარდა, ისე ეხლა შემიყვარდა ყველგან და ყველასთან ყოფნა: დავდიოდი საღამოებზე, საეირნოდ და ყოველგვარ დროს გასატარებლად. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვმსახურობ და მუქთად არ ვიღებ თვეში თხუთმეტ მანეთს მეთქი. ვიცოდი, რომ ჩემი მოხუცებული ბატონი თვეში ას მანეთსაც მომცემდა, მაგრამ არ ვთანხმდებოდი, რადგანაც არ მინდოდა ჩემი თავი მიმეცა, მიმეყიდა ვისთვისმე ფულით უსიყვარულოდ. სიამოვნებით მევსებოდა გული, როცა ჩემი თაყვანისმცემლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩემს გასატაცებლად. რასაკვირველია, მათ არ შევატყობინებდი, რომ ყველაფერი ვიცოდი, რასაც ისინი აპირებდნენ, მაგრამ თავი კი ძალიან თავისუფლად მეჭირა მათ წინაშე და უარსაც არ ვეუბნებოდი ხოლმე შამპანიურსა და სხვა სასმელებზედ, როცა გამიმასპინძლდებოდნენ ხოლმე. ყველგან დავდიოდი, სადაც შესაძლო იყო ქალის ყოფნა, მაგრამ პატიოსან გასათხოვარი ქალისა-კი არა. ისე მეჭირა ჩემი თავი, რომ არასოდეს არ მივიდოდი უკანასკნელ ნაბიჯამდე და თავისს დროზედ მოუღებდი ხოლმე ბოლოს ჩემის თაყვანისმცემლების აღტაცებას. ოჰ! როგორ მძულდნენ ისინი და როგორ დავსცინოდი! მაშინ მოსამსახურე ვიყავი, მაგრამ სულ სხვა მოსამსახურე. წინად ყურადღებასაც არავინ მაქცევდა, ეხლაკი მზად იყვნენ ხელები დაეკოცნათ ჩემთვის და ხელის გულით ვეტარებინეთ; თითქმის დედაჩემის აზრიც კი გამოიცვალა ჩემს შესახებ, თუმცა ისევე ჰფიქრობდა, რომ მე ზნე-წამხდარი ქალი ვიყავი. ჩემმა მდიდარმა მამიდამაც-კი მომაქცია ყურადღება, მაგრამ მე მაინც არ მყავდა ჩემი თავი დაღუპული.

ჯერ კიდევ არა მქონდა დავიწყებული ჩემი სიყვარული. ვცხოვრობდა ისევ მ—ში, ვტანჯავდი ჩემ თაყვანისმცემლებს, ვშრომობდი, ვშველოდი ჩემს მოხუცებულს ბატონს თავისს სავაჭრო საქმეებში: დავთრები ჩემს ხელში იყო; ყოველთვიურს და წლიურს ანგარიშს მე ვადგენდი და ამასთანავე ვმხიარულებდი და ვქეიფობდი თავ-დავიწყებამდე, თუმცა გული-კი მტკიოდა ჩემ საწყალ ძმის გამო, რომელიც ჩემზედ სულ მოკლე გამოდგა და უიმედო სიყვარულის მიზეზით ლოთობა დაიწყო. საწყალი ჩემა ძმა! რაც შემეძლო ვშველოდი, მაგრამ მერე სამხედრო სამსახურში წაიყვანეს და მ—დგან უნდა წასულიყო. დედას ეხლა ხშირად ვხვდებოდი და აღარ მეშინოდა მისი; აღარც მოსამსახურეებთან დამოკიდებულებისა მრცხვენოდა, მაგრამ ჩემი გული სავსე იყო მუდამ დამახინჯებულ ბავშვობის დროისა და ტანჯულ სიყვარულისაგან გამოწვეულის სიმწარით.

ს. რობაქიძე

(შემდეგი იქნება)

და. რაზმი ცინხაისიენის იქით შვიდი მილის მანძილზე იყო და იქმრავალი მომხრე ნახა „დიდი მუშტისა“. ორი ჯარის-კაცი, რომლებიც ბანაკს დასცილდნენ, მძიმედ დასჭრეს მეამბოხეებმა, იაპონიის ერთი მუშა სულ მთლად აკუწეს. პაოტინფუში მიმავალი ექსპედიცია, უეჭველია, ცინხაისიენზე გაივლის. ექსპედიცია გაემგზავრება ორშაბათს ან სამშაბათს. ჩინეთის წყაროებიდგან იუწყებიან, რომ პაოტინფუდგან ჯარი და მცხოვრებლები მთლად გაიქცნენო. ქალაქი და მისავალი გზა დაიჭირა „დიდი მუშტი“-ს ბრბომ. ჰფიქრობენ, რომ ისინიც გაიფანტებიანო, როგორც-კი ჯარის მიახლოვებას შეიტყობენ.

**ლეიდენბურგი**. უკანასკნელს ხუთ დღეს გენერალი ბულლერი შეუფერხებლად მოდიოდა წინ მაკმანის გორებითა და პილგრიმსრესტის და კრიუგერსპოსტის ხეობითა და გზა-და-გზა მტერს სდევნიდა. ამ ჟამად ბულლერი ობრიგსტადტთან იმყოფება.

**შანჰაი**. სარწმუნო წყაროს ცნობებით, ბრიტანიის სამხედრო გემი „ვოოდკოკ“-ი დღეს წავიდა ხანკოუს მდინარე ხანზე თვალ-ყურის დასაჭერად; ამბობენ, ვითომც ამ მინდობილებას კავშირი აქვს იმ მოლოდინთან, რომ იქნება როგორმე საიმპერატორო სახლობა შეიპყრანო.

ბრიტანიის სამდინარეო გემი „ვოოდარკ“ აქ მოდის სიმგრე ციანშინში მოსულ გემებსა და მგზავრებზედ თვალყურის დასაჭერად.

**ჰონკონგი**. გუშინ ათასამდე მეამბოხე დაეცა სამაზრო ადგილს სეივანს, რომელიც სალჩუნიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს რვა მილის მანძილზე, ბრიტანიის ტერიტორიაზედ. მეამბოხენი უკუქცეულ იქმნენ. ერთი როტა იმპერატორის მუდმივ ჯარისა, როგორც ხმა ისმის, სანჩუნისაკენ მიდის და დღეს მოელიან აქ თავდასხმას. საზღვარზედ პოლიცია გაძლიერებული და შეიარაღებულია მაქსიმის სისტემის თოფებით; გარდა ამისა, ჯარებიც მზად არის ყოველის შემთხვევისათვის; ჰფიქრობენ, რომ ხსენებულნი აჯანყებულნი საიდუმლოო საზოგადოებებს ეკუთვნიან. როგორც საიჩუნიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, იქ ჯერ კიდევ მშვიდობიანობაა, თუმცა დუქნები დაკეტილიაო.

**შანჰაი**. შესაძლებელად მიაჩნიათ, რომ ჩინელები შანჰაის თავს დაესხნენ. 8,000 ჩინელი ჯარის-კაცი ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ მოდის წყლის დიდი არხით აქ მყოფ ჯარებთან შესაერთებლად. გენერალი გეზლი პეკინში დაბრუნდა. ყველა ინგლისელ ჯარებს, გარდა ვეი-ხაი-ვეის რაზმისა, ებრძანა, რომ საზამთროდ მოემზადნენ; ვეი-ხაი-ვეის რაზმი-კი ვეი-ხაი-ვეიში დაბრუნდება. რუსის ჯარების უმთავრესი ნაწილი უკვე წავიდა აქედგან. ბევრი სურსათით დატვირთული გემი მოდის პეკინისაკენ და რადგანაც ეს სურსათი იაპონელ ჯარებ სათვის არის, ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ამ ზამთარს პეკინში დარჩებიან. რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივაც იაპონელ ცხენოსანთა რაზმები სდგანან. საფრანგეთის ჯარის ერთი ნაწილი პეკინსა სტოვებს.

**შანჰაი**. უკანასკნელის ბრძანებით დანიშნული თანამდებობის პირნი იმავე მიმართულებისანი არიან, როგორიც პეკინის ჯარების ყოფილი უფროსები და კანონიერის მემკვიდრის მამა იყვნენ. ერთმა მანდარინმა, რომელიც პრინც ტუანთან ერთად დათხოვნილ იყო სამსახურიდგან, ისევ დიდი ადგილი მიიღო. ჩინელები მხნედ ამზადებენ იარაღსა და სხვა საომარ მასალას.

**პეკინი**. დედოფლის ცდამ ტაიენფუში მთავრობის დაარსების შესახებ ფუჭად ჩაიარა. მან უბრძანა ყველა მანდარინებს, რომელთაც წინად პეკინში ჰქონდათ ადგილები, რომ წასულიყვნენ, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა, ზოგმა ვითომც ავადმყოფობის მიზეზით და ზოგმაც იმიტომ, რომ შეუძლებელია უცხოელ ჯარებს შუა გავლოთო.

**შანჰაი**. ძმისწული დედოფლისა, ხუსიტანუ, რომელიც იმპერატორმა 1898 წელს თანამდებობიდგან გადააყენა, ცუნგ-ლი იამენში იქმნა დანიშნული ტუანის მაგივრად და გენერალისსიმუსად იუნ-ლუს მაგივრად.

**ეკატერინოსლავი**. 23 სექტემბერს, ღამით, გაძარცვეს პავლოგრადსკის მაზრის ნოვოივანოვოს სასოფლო სამმართველო და მოჰკლეს შვიდი კაცი; სოფლის მწერალი, სამი მისი თანაშემწე, დარაჯი და გზირი თავისის ცოლით. რამდენი ფული წაიღეს, ჯერ არ იციან.

**კიევი**. გუშინ აქ მოვიდა ოდესიდგან ბეჭდვითი საქმის უმთავრეს სამმართველოს უფროსი თავადი შახოვსკოი ადგილობრივს საცენზურო დაწესებულებათა სარევიზიოდ. ხვალ თ. შახოვსკოი განაგრძობს გზას.

26 სექტემბერი

**პსკოვი**. კვირას ნიკანდრას უდაბნოში, პოროხოვის მაზრაში, დღესასწაულის გამო უდაბნოში 5000 მლოცავი შეგროვდა. ღამის თევის ღამეს მონასტრის ორ-სართულიან სასტუმროში, სადაც ღამეს ათევდნენ მლოცავები, საწოლი ტახტები ჩამოიქცა და მოიტანა შიგ მყოფნი. ქვემო სართულში ჩოჩქოლი შეუდგათ. მონასტრის ეზოში მყოფთ რომ ეს შენიშნეს, მაშინვე ცეცხლის მქრობლებს დაუძახეს. ღამის მთევლები ერთად-ერ გამოსავალ კიბეს ეცნენ. ხალხი აირია, ერთმანეთს აწვებოდნენ და ამ დროს გასრისეს სასიკვდილოდ 4 მამა-კაცი და 36 დედაკაცი. დაშავებულია 15 კაცი, მათგან 4 მძიმედ. ამ ამბის გამოსაძიებლად უდაბნოში მთავრობა მოვიდა.

**პეტერბურგი**. გუშინ სამეცნიერო აკადემიამ უვაროვის 500 მანეთიანი პრემია შემდეგ პ-რებს მიუსაჯა: ბორსუკოვს „შერემეტიევების გვარეულობისათვის“, ყაზანის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს წიგნისათვის: „დასავლეთ რუსეთის მართლ-მადიდებელთა სკოლები მე-16 და 18 საუკუნეში“, ეინგორნს, ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორს კოჩუბინსკისა და სხვათ.

**ლონდონი**. „რეიტ. სააგ.“ ცნობა მიუღია აქაურ იაპონიის საელჩოსაგან იმის შესახებ, რომ შანჰაიგუანის აღებაში იაპონიის მხრივ მონაწილეობას იღებდა 120 კაცი ნაპირის ჯარისა. წინდაწინვე მოლაპარაკებისა თანახმად ქალაქის ჩრდილო ნაწილის კარები დაიჭირეს ფრანგებმა და ინგლისელებმა, აღმოსავლეთისა—რუსებმა, სამხრეთისა—გერმანელებმა, და დასავლეთის—იაპონელებმა და იტალიელებმა. იაპონელები იცავდნენ აგრეთვე მეორე და მეხუთე სიმაგრეს შუა მოთავსებულ ელექტრონით განათების სახელოსნოებს.

**ვაშინგტონი**. ვუტინფანმა შეატყობინა გეის, რომ სამხრეთ პროვინციების მმართველთაგან ცნობა მიიღო—იმპერატორის სახლობა სინანფუს გზაზე იმყოფებაო, სადაც იმპერატორისათვის სასახლეს აშენებენო.

**ნიუ-იორკი**. პეკინიდგან დეპეშით იტყობინებიან, რომ ტუნფუსანი შანსის პროვინციაში გაიქცა, რადგანაც დასჯისა ეშინოდაო. აშკარად ემჩნევა, რომ ჩინეთის მთავრობა ზომებს ხმარობს, რომ „დიდი მუშტის“ ბრბო გაჰფანტოს. ჩინეთის ჯარი ორშაბათს გამოჩნდა ბუდაჩუს მახლობლად. ტიანძინის მმართველის თანამდებობის აღმასრულებელმა გამოაცხადა, რომ „დიდი მუშტის“ მოსასპობად ბრძანება გამოუციათ; იგი იმავე დროს აცხადებს, რომ არა ჰგზავნის ჯარებს, რადგანაც იქ მოკავშირენი იმყოფებიან. „დიდს მუშტს“ წყლის არხზედ საკმაოდ კარგად შეიარაღებული კონონერკები აქვს დამზადებული, რომ დაიცვას პაოტინფუ, საითკენაც ექსპედიცია მიემგზავრება.

26 სექტემბერი

**ლონდონი**. ოფიციალურად. ერთი ზღვოსანი მოვიდა აქ როზარიოდგან ტაინის მდინარესთან და შემდეგ წავიდა ლლანდორფში და უელსში, მაგრამ რადგან მისი სნეულება საეჭვოდ ეჩვენათ, განაკერძოვეს; 22 სექტემბერს გარდაიცვალა და, როგორც გამოკვლევამ შეამოწმა, ჭირისაგან ყოფილიყო ავად.

**ტიანძინი**. გერმანიის რაზმი ტიანძინის სამხრეთით შეეჩეხა 8,000 ჩინელს, რომელნიც „დიდის მუშტის“ მომხრეებად მიიღო; გერმანელები უკუ-აქციეს და იძულებულ იქმნენ უკან დაეწიათ.

**ტიანძინი**. საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ მტრის ჯარი „დიდს მუშტს“ კი არ ეკუთვნოდა, არამედ ლი-ხუნ-ჩანგის ჯარს, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა მახლობლად ყოფილიყვნენ იმ შემთხვევისათვის, თუ უცხო-ქვეყნელნი ლიხუნგ-ჩანგს პეკინში წასვლას დაუშლიდნენ.

27 სექტემბერი

**ლონდონი**. „Dailu Telegraph“-ს აუწყებენ კანტონიდგან, რომ ხუთი ათასი მეამბოხე დასცემია საიმპერატორო ჯარს, დაუმარცხებია იგი, დაუპყრია ადგილები მირსისა და დინის ყურეებს შუა და სამხრეთისაკენ მიდის თურმე.

**ნიუ-იორკი**. პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ამერიკელები პაოტინფუს ექსპედიციაში მონაწილეობას არ იღებენო. ლიხუნგ-ჩანგმა გამოუცხადა გენერალ გეზლის, რომ თუ მოკავშირეებს ჰსურთ ხელთ ჩაიგდონ პაოტინფუ, ჩინელები სიამოვნებით დაუთმობენ. ესევე განუცხადა ლიხუნგ-ჩანგმა სხვა გენერლებს. ამერიკელები იმ აზრისანი არიან, რომ ექსპედიციას ის აზრი აქვს: ჩინელებს თავისი ძალა აჩვენონ და ამასთანავე შური იძიონო. იმათის აზრით, ეს გარემოება მშვიდობიანობის საქმეს ხელს შეუშლისო.

**პეკინი** გენერალი იამაგუჩი არდგენს ახალს იაპონიის ბრიგადას, რომელიც ჩინეთში იქმნეაა დაბანაკებული; 2,000 კაცი აქ დარჩება, დანარჩენი-კი პეკინსა და ტაკუს შუა იქმნებიან. 8,000 გერმანიისა და 1,500 ამერიკის ჯარის-კაცი მთელს ზამთარს დარჩება აქა. რამდენი იქნება ინგლისის ჯარის-კაცი, ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, უეჭველია ერთს ბრიგადას დასტოვებენ. მოკავშირენი ექვსის თვის სამყოფს სურსათს იმზადებენ. რუსებმა თავისი დარაჯი გაიყვანეს საიმპერატორო ბაღებიდგან, რომელნიც მაშინვე გერმანელებმა დაიჭირეს. გერმანელები სადგომს ვალდერზეესა და შტამისათვის იმ შენობაში ამზადებენ, სადაც წინად ქვრივი იმპერატრიცა სცხოვრობდა. 6,000 ინგლისელმა საზაფხულო სასახლე დაიპყრეს.

**კაპშტადტი**. ვეპენერი, სუკსვილი და ფინსბურგი ბურების ხელშია, უეჭველია იმ ბურებისა, რომელნიც ინგლისელებმა სამხრეთისაკენ განდევნეს. სცდილობენ გარს შემოერტყნენ ბურებს.

**ბერლინი**. გერმანიის მხრივ გამოცხადებულ იქმნა, რომ მოგონილია ის ამბავი, ვითომ სინანფუში ექსპედიცია იგზავნებოდეს. რაც შეეხება ტონგლუ-პეკინი რკინის გზის შტოს, რუსთა და გერმანელთა შორის მორიგებაა, რომ ტონგლუ იანცზეს რუსები განაგებდნენ, ხოლო იანცზე-პეკინის ნაწილს—გერმანელები.

**ლონდონი**. პეკინიდგან იუწყებიან, რომ პრინცმა ცინმა 22 სექტემბერს იმპერატორის ბრძანება მიიღო, 18 სექტემბრის თარიღით გამოგზავნილი, იმ მოხსენების პასუხად, რომლითაც იგი საელჩოების სახელით ურჩევდა, რომ იმპერატორი პეკინში დაბრუნებულიყო. იმპერატორი ბრძანებაში სწერს, რომ მაშინ დავბრუნდები პეკინში როდესაც მოლაპარაკება კეთილ-საიმედო ხასიათს მიიღებს. შემდეგ ნათქვამია, რომ მე მჭირია მოხელე ჩინელნი, რათა შევლაგმო ჩინელთა უკანონო მოქმედება პეკინშიო. დიდ ძალი ჩინელები იღებენ იარაღს, ივნისის ბრძანების თანახმად. ჩინელების სიტყვით, 50,000 კაცი იკრიბება სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

**ვაშინგტონი**. ჩაფფი იუწყება, რომ ყველა ამერიკელები, საელჩოების დარაჯს გარდა, ორის კვირის შემდეგ დასტოვებენ ჩინეთსაო. ამერიკელები მონაწილეობას აღარ მიიღებენ სამხედრო მოქმედებაში, თუ იმათზედ იერიში არავინ მიიტანა.

**პეკინი**. იმ ბრძანების პირი, რომლითაც პრინცებს კან-ის, ცზაიტინსა და ცზაიანს ღირსება აქვთ ახდილი, სადიპლომატიო კორპუსის წევრთ დაურიგდათ. პრინცს ტუანს ერთმევა თანამდებობა, პენსია და იგი სასახლის სამინისტროს გარდაეცემა დასასჯელად, ხოლო კან-ი და ჩჟაოჩჟუჩჟიაო საცენზურო უწყებას გარდაეცემა. იმპერატორი დიდს მნიშვნელობას აწერს იმ გარემოებას, რომ არ დააყოვნებს და სასტიკად მოეპყრობა თავისის გვარეულობის წევრთ, რომელთაც სახელმწიფო საქმეების ცუდად წარმოების ბრალსა სდებს.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

30 სექტემბერს

ხოსია ლომთაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

დავით კალაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

კონსტანტინე დოლიძის, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ონისიმე ლოლუასი, რომელსაც ბოქაულის ბოროვის წინააღმდეგობა ედება ბრალად.

მიხეილ სიჭინავასი—ყაჩაღობა ბრალდება.

მარკოზ ლალაძისა, რომელსაც თვისის შვილის კიმოთეს მოკვლა ბრალდება.

ფედოსია გიგოს ასულის ქორქაშვილისა, რომელსაც თვისი ქმრის ფარნაოზის მოკვლა ბრალდება.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმისავე თანადასწრებით, 29 სექტემბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზედ, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს უსუფთაობის მილის გაყვანის საქმე, ანდრეევის ქუჩაზედ (ვოკზალისა და ბატარეინის ქუჩებს შუა) მე-10 ნაწილში; სამუშაო 1500 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯოს ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმისავე თანადასწრებით, 29 სექტემბერს, 1900 წ., შუადღის 12 საათზედ, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს უსუფთაობისა და ქუჩის გამოსაშრობლად საჭირო მილების გაყვანის საქმე მაზუთის ვიწრო ქუჩაზედ, ქალაქის მე-10 ნაწილში, სამუშაო 980 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯოს ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—6.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე